საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებული სექტორული საკოორდინაციო საბჭოს

სხდომის ოქმი # 9

31.03.2016

შეხვედრის დასახელება	„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომა
შეხვედრის თარიღი:	31 მარტი 2016 წ.
შეხვედრის ადგილი:	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	თანამდებობა
საბჭოს წევრები	
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს''თავმჯდომარე
თენგიზ შერგელაშვილი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე
რევაზ ჯაველიძე	საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე
ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
ნინო ნარეშელაშვილი	ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრის(AMC) დირექტორთა საბჭოს წევრი
მიხეილ ჭელიძე	ა(ა)იპ საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელი პრეზიდენტი
მარიამ ბიწაძე	საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელი
ნოდარ სურგულაძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო (MCA) უმაღლესი განათლების პროექტის დირექტორი

საბჭოს წევრების წარმომადგენლები	
ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, პროექტის მენეჯერი
ბონდო მესხი	საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში
საბჭოს სხვა მონაწილეები	
ელზა ჯგერენაია	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ირინა წეროძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ნიკოლოზ მესხიშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ლელა მაისურაძე	საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის პროფესიული განათლების პოლიტიკის ადგილობრივი ექსპერტი
ვულფ შმიდერი	საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ჯგუფის ლიდერი, შრომის ბაზრის ექსპერტი
ოლივერ დიზი	საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ჯგუფის ლიდერი, პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი
გიორგი გამყრელიძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს ხელმძღვანელი
პიტერ ტასკერი	ევროკავშირის შეფასების მისიის ექსპერტი
არამ ავაგიანი	ევროკავშირის შეფასების მისიის ექსპერტი
იანის სოფიანოპოლოს	ევროკავშირის შეფასების მისიის ექსპერტი
საბჭოს სხდომის მდივანი	

მარიამ შოთაძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შეხვედრის დღის წესრიგი

N	თემა	ხანგრძლივობა	მომხსენებელი
1	სხდომის გახსნა და დღის წესრიგის გაცნობა	5 წთ.	**ქეთევან ნატრიაშვილი,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, „დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ თავმჯდომარე.
		5 წთ.	**ნინო ბერძული,** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე.
		5 წთ.	**ნინო ყოჩიშვილი,** ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.
2.	***განსახილველი საკითხები:***		
2.1	2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ანგარიში და 2016 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული აქტივობების მიმოხილვა	15 წთ.	**ირინა წეროძე,** პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
		15 წთ.	**ელზა ჯგერენაია,** შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი;

			საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
2.2	საბიუჯეტო დახმარების პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება“ ხელმისაწვდომი თანხების გადანაწილების საკითხი	10 წთ.	**ნინო ყოჩიშვილი,** პროექტის მენეჯერი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
3	**სხდომის შეჯამება და დახურვა**	5 წთ.	**ქეთევან ნატრიაშვილი,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, „დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ თავმჯდომარე. **ნინო ბერძული,** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე.

,,დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' (შემდგომში საკოორდინაციო საბჭო) თავმჯდომარე, ქ-ნი ქეთევან ნატრიაშვილი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სთხოვა მომხსენებლებს, საქარველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს, ქ-ნ ირინა წეროძესა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს, ქ-ნ ელზა ჯგერენაიას, წარმოედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი - 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ანგარიში და 2016 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული აქტივობების მიმოხილვა. მომხსენებლებმა, სხდომის

მონაწილეებს, მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია, 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შესახებ. ქ-ნმა ირინა წეროძემ განიხილა 2016 წლის პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებული ვალდებულებებიც. დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის მონაწილეებს კითხვები და შენიშვნები არ ჰქონიათ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან - საბიუჯეტო დახმარების პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება“ ხელმისაწვდომი თანხების გადანაწილების საკითხი - დაკავშირებით ისაუბრა ქ-ნმა ნინო ყოჩიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ქ-ნი ირინა წეროძისა და ქ-ნი ელზა ჯგერენაიას მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შეფასება ამ ეტაპზე მიმდინარეობს. შეფასების მისიის ვიზიტი საქართველოში მიმდინარე წლის 8 აპრილს დასრულდება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველ მოადგილესთან დე-ბრიფინგით, რის შემდეგაც, მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება დაფინანსების ოდენობის შესახებ. ამ ეტაპზე კი, შეფასების შედეგებზე საუბარი ნაადრევია.

ქ-ნმა ნინომ, ასევე, ისაუბრა ევროკავშირის საგრანტო პროექტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მათ მონიტორინგში, ევროკავშირის ექსპერტებთან ერთად, ჩართულნი არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. მან, აქვე, აღნიშნა, რომ პირველი მონიტორინგის პირველი ფაზა უკვე დასრულდა და შედეგები უახლოეს მომავალში იქნება ხელმისაწვდომი.

ქ-ნმა ნინომ, სხდომის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია დასაქმების მხარდაჭერის სერვისების ინსტიტუციური შეფასებისა და რეფორმის გეგმის შესახებ, რომელიც განხილული და დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. გეგმის პილოტირება იგეგმება თბილისში, ბათუმში, თელავსა და ქუთაისში.

საბიუჯეტო დახმარების პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება“ ფარგლებში ხელმისაწვდომი თანხების საკითხთან დაკავშირებით, ქ-ნმა ნინომ აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტი (2,71 მლნ ევრო) გაიზარდა 3 მლნ. ევრომდე. გარდა ამისა, ხელმისაწვდომია დამატებითი თანხა, 600 000 ევროს ოდენობით, რომლის ნახევრის დახარჯვა იგეგმება პროგრამის მიზნებისთვის, ხოლო ნახევარი მოხმარდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს.

ქ-ნმა ნინო ყოჩიშვილმა აღნიშნა, რომ 2017 წელს, არა უგვიანეს თებერვლისა, გახორციელდება შეფასების მისიის ბოლო ვიზიტი საქართველოში.

საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის წარმომადგენლებმა, ბ-ნმა ოლივერ დიზიმ და ბ-ნმა ვულფ შმიდერმა, სხდომის მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე აქტივობების შესახებ.

შეხვედრა შეაჯამა ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა და აღნიშნა, რომ მოხარულია, რომ შესაძლებელია სამინისტროების თხოვნის გათვალისწინება და გამოიძებნა დამატებითი ფინანსური რესურსები ცნობიერების ამაღლების აქტივობების მხარდაჭერისათვის. აღნიშნული დახმარება უაღრესად მნიშვნელოვანია ორივე სექტორის განვითარებისთვის, ვინაიდან სახელმწიფო უწყებებს არც შესაბამისი ფინანსური რესურსი გააჩნიათ და არც კომპეტენცია. შესაბამისად, მაღალი მოლოდინები არსებობს ამ დახმარებით მისაღწევი ისეთი შედეგების მიმართ როგორიცაა: პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება, დაინტერესებული მხარეების ინფორმირება და მათი ჩართულობის გაუმჯობესება რეფორმის პროცესში და ა.შ.

,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' სხდომის თავმჯდომარე:

ქეთევან ნატრიაშვილი

,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' სხდომის მდივანი:

მარიამ შოთაძე